თიბისი ბანკი

ბაზრის კვლევა სს „თიბისი ბანკი“-ს ოფისებისთვის ყავის აპარატების იჯარით გადმოცემასა და მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ მომსახურებაზე.

RFI

სს “თიბისი ბანკი” გიწვევთ ღია ელექტრონულ ბაზრის კვლევაში მონაწილეობისათვის და გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები შესყიდვების ელექტრონული სისტემის – tenders.ge საშუალებით.

I. მონაწილეობის წესები

წინადადებების ატვირთვა შესაძლებელია 10.02.2026წ. 12:00 საათიდან 18:00 საათამდე.

ტექნიკური ხასიათის კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით:
მარიამ კოპაძე 593 11 02 50 MKopadze@tbcbank.ge

დოკუმენტაციის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით:
ნინი აბაიშვილი 571 90 90 70 Nabaishvili@tbcbank.ge

- პრეკვალიფიკაციის შემდგომ დაზუსტების მიზნით მოწოდებული ყველა ტიპის ინფორმაცია (მათ შორის ელექტრონული სახით) ითვლება წინადადების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილად.
- პრეკვალიფიკაციის შემდგომ მოსალოდნელია დაიგეგმოს შესყიდვის მეორე ტური, პრეკვალიფიკაციაში შემოთავაზებულ წინადადებებზე დაყრდნობით.
- გამარჯვებული ვალდებულია თანამშრომლობისათვის წარადგინოს თიბისი ბანკის საბანკო რეკვიზიტები.
- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ელ. ფოსტით, მისამართზე Procurement@Tbcbank.ge
- ბანკის მიერ შესაძლებელია შეწყდეს შესყიდვის პროცესო, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში (მხოლოდ ერთი განაცხადი და ა.შ.), რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე;

II. შესყიდვის ობიექტი

68 ცალი ყავის აპარატის იჯარით გადმოცემა და შესაბამისი ტექნიკური და ჰიგიენური მომსახურება.

აპარატები უნდა იყოს ახალი და უნდა შეესაბამებოდეს ქვემოთ მოცემულ მოთხოვნებს:

- აპარატების სიმაღლე 60სმ, სიღრმე 50სმ;
- აპარატები უნდა მუშაობდეს მარცვალზე;
- წარმადობა - მინ. 150 ფინჯანი;
- აპარატებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ესპრესოსა და ამერიკანოს ალტერნატივა;
- აპარატების მიერთება უნდა მოხდეს ცენტრალურ წყალმომარაგების სისტემაზე;

- აპარატს უნდა ჰქონდეს ინტეგრირებული გადახდის სისტემი, ან შესაძლებლობა რომ ინტეგრირდეს საგადახდო სისტემა (აუცილებელი პირობაა, რომ ყავის ღირებულების გადახდა მოხდეს საბანკო ბარათის საშუალებით);

დამატებითი მოთხოვნები:

- ბანკის მხრიდან არ მოხდება ყავის მარცვლების მარაგის შესყიდვა, მომწოდებელმა თვითონ უნდა უზრუნველყოს ყავის მარაგების შევსება, საჭიროებიდან გამომდინარე;
- მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყავის აპარატთან დაკავშირებული სერვისები (მაგ: პროფილაქტიკური შემოწმება, გეგმიური წმენდა, შეკეთება);
- აპარატის დაზიანების შემთხვევაში უნდა მოხდეს დროებითი ჩანაცვლება სათადარიგო აპარატით;
- ხარვეზის დაფიქსირების შემთხვევაში აღმოფხვრის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24სთ;
- მომწოდებული ვალდებულია წარმოადგინოს შემოთავაზებული ყავის მარცვლის ბრენდისა და მწარმოებლის შესახებ ინფორმაცია, ასევე ყავის მარცვლის გემოვნური თვისებების დეტალური აღწერა;
- გემოვნური თვისებები გათვალისწინებული იქნება შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმად.

III. პრეკვალიფიკაციის ფარგლებში პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები და მომსახურების საორიენტაციო განფასება **(დანართი N1);**
- პრეზენტაცია და შემოთავაზების ტექნიკური განმარტება **(ბრენდები, მოდელები);**
- ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტის შესახებ;